



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.აღვასტისძის 1/3

წიგნების პრეზენტაცია

პროკლე დიადოხოსი, „კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი“, იოანე პეტრიწის თარგმანი და „განმარტება“

2016 წლის 31 ოქტომბერს, 17:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი წარმოგიდგენთ სამ სამეცნიერო გამოცემას:

I ტომი - პროკლე დიადოხოსი, პლატონური ფილოსოფოსი. „კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი“. თარგმანი და განმარტება იოანე პეტრიწისა. H-1337 ხელნაწერის ფაქსიმილური გამოცემა; ამ ნუსხის ფაქსიმილური გამოცემა უმნიშვნელოვანესია, რადგანაც იგი შეიცავს ფასდაუდებელ მონაცემებს ქართული ხელნაწერთმცოდნეობის თვალსაზრისით, წერის ტექნიკის, პუნქტუაციისა და აქცენტუაციის ნიშნების შესწავლისათვის.

II ტომი - პროკლე დიადოხოსი. „კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი“. თარგმანი და განმარტება იოანე პეტრიწისა. H-1337 დიპლომატური გამოცემა.

III ტომი - პროკლე დიადოხოსი. „კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი“ და იოანე პეტრიწის განმარტება. სომხური ვერსია.

სამტომეული მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - პროკლე დიადოხოსი. „კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი“, იოანე პეტრიწის თარგმანი და „განმარტება“ - ფარგლებში.

პროექტმა დაფინანსება ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსში მოიპოვა და 2013-2016 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ცენტრის (კ.კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზაზე დამანა მელიქიშვილის (სამეცნიერო ხელმძღვანელის) ლევან გიგინეიშვილის და ცენტრის თანამშრომლების: ვასილ თარგამაძის, დიმიტრი გურგენიძის, ბექა თოფურიას, ირმა ხოსიტაშვილის, ხათუნა გაფრინდაშვილისა და ნათია მიროტაძის მონაწილეობით.

პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“ პეტრიწისეული თარგმანი და განმარტება პირველად 1937-40 წლებში სიმონ ყაუხჩიშვილმა და შალვა ნუცუბიძემ გამოსცეს ორ ტომად.

სიმონ ყაუხჩიშვილის საეტაპო მეცნიერული გამოცემა დღემდე ერთადერთი გახლდათ, რომელიც ემსახურებოდა ფილოსოფიისა და თეოლოგიის და ქართული ენისა და

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjavidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628

ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერთა თაობებს, მაგრამ სამწუხაროდ, გარდა იმისა, რომ იგი იქცა ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად, მასში არ არის გათვალისწინებული უძველესი, XIII საუკუნით დათარიღებული H-1337 ხელნაწერი, რადგანაც იგი იმ დროისათვის საფრანგეთში იყო გატანილი საქართველოს სხვა განძეულობასთან ერთად და ხელმისაწვდომი არ იყო გამომცემლებისათვის.

ახალი გამოცემის მთავარ მიზანს პროკლეს ტრაქტატის იოანე პეტრიწისეული თარგმანის სწორედ ამ, უძველესი, XIII საუკუნის H-1337 ხელნაწერის ფაქსიმილური და დიპლომატური გამოცემა წარმოადგენდა.

წიგნების პრეზენტაცია ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში გაიმართება. პრეზენტაციაზე საუბარი იქნება წიგნის შინაარსისა და მისი გამოცემის მნიშვნელობაზე სამეცნიერო სივრცეში.

ხელნაწერის ტექსტისა და სომხური თარგმანის გამოქვეყნება შესაბამისი კრიტიკული აპარატითა და გამოკვლევით მნიშვნელოვან სამეცნიერო სიახლეებს შეიტანს პროკლე დადოხოსის 'თეოლოგიის საფუძვლების' არა მხოლოდ იოანე პეტრიწის ქართული თარგმანისა და „განმარტების“, არამედ თვით პროკლეს ამ მნიშვნელოვანი ტრაქტატის ისტორიის შესწავლასა და ბერძნული ტექსტის დადგენაში. გამოცემები სანიმუშოა ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც და შესრულებულია თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

მარიამ ჯაბიძე

mariamjbidze@gmail.com

598 175 777; 577 977 199

თამარ გურგენიძე

friends@manuscript.ac.ge

599 899 628